



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



31/05/2018

26-07-4-201805311554



N 26

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №26  
2018 წლის 31 მაისი  
ქ. ლანჩხუთი**

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38  
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში (ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.112.016320) შევიდეს ცვლილება, კერძოდ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების“ „სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური პირველადი სტრუქტურული ერთეულის“ ცხრილის „ინფრასტრუქტურის განყოფილება მეორადი სტუქტურული ერთეულის“ გრაფა „მთავარი სპეციალისტი მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალიტის“ საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 4 (ოთხი) ერთეულით; „სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური პირველადი სტრუქტურული ერთეულის“ ცხრილის „ინფრასტრუქტურის განყოფილება მეორადი

სტუქტურული ერთეულის“ გრაფა „წამყვანი სპეციალისტი მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი“ ამოღებულ იქნას. შესაბამისად, „სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური პირველადი სტრუქტურული ერთეულის“ ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

<b>სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური პირველადი სტრუქტურული ერთეული</b>	10	
სამსახურის უფროსი პირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1500
<b>სივრცითი მოწყობის განყოფილება მეორადი სტრუქტურული ერთეული</b>	4	
განყოფილების უფროსი მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1200
მთავარი სპეციალისტი მესამე რანგი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	800
წამყვანი სპეციალისტი მესამე რანგი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	700
<b>ინფრასტრუქტურის განყოფილება მეორადი სტრუქტურული ერთეული</b>	5	
განყოფილების უფროსი მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1200
მთავარი სპეციალისტი მესამე რანგი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	800

**მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.  
ბესიკ ტაბიდე**

საკრებულოს თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

